ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.10.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს ყალბ მტკიცებულებებს და მისთვის ცნობილია ამ მტკიცებულებების სიყალბის შესახებ, არღვევს თუ არა იგი კანონისა და ეთიკის ნორმებს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი: ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.“

ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების

პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით, /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ მიუთითა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“

ადვოკატი, საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოქმედებდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა ყალბი მტკიცებულება და მისთვის ცნობილი იყო ამ მტკიცებულებების სიყალბის შესახებ, შესაძლოა მის ქმედებაში ფიქსირდებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, ეთიკის კომისიის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიაწოდა წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება, მის ქმედებაში შესაძლოა ფიქსირდებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.